პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ დეკემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შპს „Georgian Industrial Asset Management Group"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ბათუმის ზღვისპირა პარკის და პლაჟების ტერიტორიებზე განთავსებული ჯიხურების მიერ დაკავებული, ჯამში 224 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 მიწის ნაკვეთის (თანახმად დანართისა) შპს„Georgian Industrial Asset Management Group"-სათვის (ს/კ №445400664) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

მხარეთა შორის 2019 წლის 30 დეკემბრს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბათუმის ზღვისპირა ზოლში არსებული 14 (თოთხმეტი) ერთეული 224.00 კვ.მ. საერთო ფართის მიწის ნაკვეთი, მათზე გაგამგრილებელი წვენების, საღეჭი რეზინების, ორცხობილების და სხვა პროდუქციის სარეალიზაციო ჯიხურის განთავსების უფლებით. იჯარის წლიური საზღაური შეადგენდა 40 000,0 ლარი.

განვმარტავთ, რომ მომდევნო ეტაპზე მხარის მოთხოვნიდან გამომდინარე „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე და 2022-2024 წლებისათვის მიწის ნაკვეთების ახალი წლიური საიჯარო ქირად განისაზღვრა 50000,0 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

მიმდინარე პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group“-ს (ს/ნ №445400664) 2024 წლის 03 დეკემბრის №10/1424338105-14 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის გაფორმებული ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების ვადის 2 წლით, 2026 წლის 30 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე. ხსენებული ხელშეკრულების ვადა კი იწურება 2024 წლის 31 დეკემბერს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას იმის გათვალისწინებით რომ 2019 წლის შემდეგ განკარგულ კოდებში მოხდა ცვლილებები, მოხდა ერთეული საკადასტრო კოდების დაყოფა სხვადასხვა საკადასტრო კოდებად მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს არა არსებული ხელშეკრულების ცვლილება ვადის გაგრძელების კუთხით არამედ მოხდეს განკარგვა პირდაპირი წესით 2 წლის ვადით დანართით წარმოდგენილი ჯამში 224 კვ.მ მიწის ნაკვეთის და საიჯარო ქირად განნისაზღვროს 50 000,0 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით შპს Georgian Industrial Asset Management Group“-ს სარგებლობაში გაცემა

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე -სარგებლობის ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქირის სახით ყოველელიურად განხორციელდება 50 000,0 (ორმოცდაათი ათასი) ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები: ქ. ბათუმის მერია, შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group“

ე) პროექტის ავტორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

დავით კოპინაძე

14 ჯიხურის განთავსების ადგილები			
N	მისამართი	მიწის საკადასტრო კოდი, რომელზეც განთავსებულია ჯიხური	ჯიხურის მიერ დაკავებული მიწის ფართი (კვ.მ.)
1	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.23.01.011	16
2	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.21.20.013	16
3	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პლაჟის N35 სექტორი	05.21.02.042	16
4	ქ. ბათუმი, ზღვისპირა ბულვარი პლაჟი N33	05.22.01.013	16
5	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი	05.23.03.012	16
6	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი	05.22.01.081	16
7	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი (პლაჟი)	05.23.02.027	16
8	ქ. ბათუმი, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორია, N21 სექტორი	05.23.04.023	16
9	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი (პლაჟი)	05.23.04.612	16
10	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი (პლაჟი)	05.24.02.148	16
11	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი (პლაჟი)	05.24.02.152	16
12	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.23.01.011	16
13	ქ. ბათუმი, კაჩინსკის ქუჩა	05.32.12.257	16
14	ქ. ბათუმი, ახალ ბულვარი 2 ტერიტორია	05.32.14.295	16
		სულ	224

დანართი

წლიური საიჯარო ქირა (ლარი)
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3600
3400
3400
50000